SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | აპრილი | 2021 | №8

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / სპორტი / ქალაქის ამბები / ფოტომატიანე

გვ. 2

„საქნახშირსა“ და პროფკავშირს შორის კოლექტიური ხელშეკრულება გაფორმდა!

გვ. 3

ჯუმბერ გაბრიაძე - ისტორია და მოგონებები

გვ. 5

მამუკა ჯიქია: „ჩვენი გუნდი მაღალი დონის პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული და ყველანაირ კვლევას ვაკეთებთ.“

გვ. 7

ტყიბულის სპორტის სასახლეში მაგიდის ჩოგბურთის შეჯიბრი გაიმართა

„საქნახშირსა“ და პროფკავშირს შორის კოლექტიური ხელშეკრულება გაფორმდა!

28 აპრილს, „საქნახშირის“ ადმინისტრაციის შენობაში, პროფკავშირისა და კომპანიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა კოლექტიურ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. შეთანხმების მიზანია დამსაქმებლისა და დასაქმებულების ეფექტიანი, ჰარმონიული თანამშრომლობის უზრუნველყოფა, საწარმოო პროცესებისთვის სტაბილური გარემოს შექმნისა და კომპანიის თანამშრომლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, პროფკავშირს შუამავლის როლი ეკისრება. ერთი მხრივ, ის დაიცავს პროფკავშირის წევრი დასაქმებულების ინტერესებს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს დამსაქმებელს პროფკავშირის წევრების მობილიზაციაში საწარმოს წინაშე არსებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისთვის.

პროფკავშირი ჩართული იქნება კონსულტაციებში ისეთი ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებებისას, რომლებმაც შესაძლებელია არსებითი გავლენა იქონიოს დასაქმებულთა მდგომარეობაზე. ასევე, დამსაქმებელს ხელს შეუწყობს თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლებაში; უზრუნველყოფს, რომ წევრებმა დაიცვან კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში, თუ კოლექტიური ხელშეკრულება კვარტლის ჭრილში შეუფერხებლად შესრულდება (არ იქნება დარღვეული პროფკავშირის ან მისი წევრების მხრიდან ხელშეკრულება), პროფკავშირის წევრი დასაქმებულები ყოველი კვარტლის დასრულების შემდეგ მიიღებენ 50 ლარს გადასახადების გარეშე. ყოველი მომდევნო წლის 1 იანვრიდან კი მოხდება პროფკავშირის წევრი დასაქმებულების ხელფასების ინდექსაცია ინფლაციის გამო, საქსტატის ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით.

გარდა ამისა, პროფკავშირებთან თანამშრომლობით, კომპანია შეიმუშავებს სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკას. დასაქმებულებისთვის პერიოდულად გაიმართება სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი და კულტურული ღონისძიებები.

ხელშეკრულება ძალაში 2021 წლის 1 მაისიდან შევა. მას სტაბილური, ჰარმონიული სამუშაო გარემოს შექმნის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც დასაქმებულებისთვის, ისე კომპანიისთვის.

ზურაბ აღდგომელაშვილი („საქნახშირის“ გენერალური დირექტორი):

„28 აპრილს, „საქნახშირსა“ და პროფკავშირის წარმომადგენლებს შორის კოლექტიური ხელშეკრულება გაფორმდა. კომპანიის მენეჯმენტი ყოველთვის მზად არის ჯანსაღი, საქმიანი ურთიერთობებისთვის და დასაქმებულებთან ერთად სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვისთვის. ამიტომ, „საქნახშირისთვის“ ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია და მოხარული ვარ, რომ მუშაობისა და მოლაპარაკებების შედეგად ხელი მოეწერა კოლექტიურ ხელშეკრულებას. დარწმუნებული ვარ, პროფკავშირების, დასაქმებულებისა და „საქნახშირის“ ურთიერთთანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება. მთავარია, რომ ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შესრულდეს როგორც კომპანიის მხრიდან, ისე დასაქმებულების მხრიდან.“

თამაზ დოლაბერიძე კოლექტიური ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ

„შპს ,,საქნახშირი“-ს შრომით კოლექტივს ახლა უკვე დანამდვილებით მინდა ვაუწყო, რომ დასრულდა პროფკავშირსა და კომპანიის ადმინისტრაციას შორის მიმდინარე ხანგრძლივი კოლექტიური მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც მხარეებმა შევძელით კოლექტიური ხელშეკრულების ორმხრივად შეთანხმებული პროექტის შექმნა.

ტყიბულის მეშახტეთა პროფკავშირის არსებობის ისტორიაში, ანუ 2010 წლიდან დღემდე, პირველად მოხერხდა, რომ პროფკავშირს, შრომით კოლექტივსა და კომპანიას შორის ურთიერთობები კოლექტიურ პასუხისმგებლობებს დაექვემდებარება.

საქართველოში 2 668 საწარმოსა და ორგანიზაცია-დაწესებულებაში ფუნქციონირებენ პროფკავშირული ორგანიზაციები და მხოლოდ 250 მათგანს აქვს კოლექტიური ხელშეკრულება დამსაქმებელთან გაფორმებული, შესაბამისად, მათ რიცხვს 2021 წლის 28 აპრილიდან ტყიბულის მეშახტეთა პროფესიული კავშირიც შეუერთდება - მხარეთა მიერ სწორედ 28 აპრილს დაიგეგმა კოლექტიურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერების დაფიქსირების ღონისძიება.

მნიშვნელოვანია, რომ კოლექტიური ხელშეკრულება, გარდა სოციალური ბენეფიტებისა, სოციალური შეღავათებისა და სამართლებრივი გარანტიებისა, ასევე შეიცავს პროფკავშირის წევრთა პასუხისმგებლობებს, ანუ ეს არის ორმხრივად დაბალანსებული შეთანხმება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლისა და დასაქმებულების შრომითი ურთიერთობების ჰარმონიზაცია, ანუ კოლექტიური ხელშეკრულების სულისკვეთება ერთი მხრივ მეშახტეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, საწარმოს სტაბილურ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანია იმყოფება საწარმოს სამომავლო გეგმების რეალიზაციის პროცესში, რამაც კომპანიის ბიზნეს-რენტაბელობის უზრუნველყოფა უნდა მოახდინოს, რამაც უნდა გამოიწვიოს დამატებითი საწარმო შესაძლებლობების შექმნა იმისათვის, რომ ტყიბულელი მეშახტეების სამუშაო ადგილი უფრო მყარი და ღირსეული გახდეს, რათა მოიხსნას ყოველგვარი კითხვის ნიშნები ქვანახშირის მოპოვებისა და რეალიზაციის პროცესში არსებულ არამდგრად და მყიფე გარემოსთან დაკავშირებით და მე, როგორც დარგობრივი პროფკავშირის პრეზიდენტი, აღვნიშნავ, რომ ამ ეტაპზე კოლექტიური ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული თანხმობები, კომპანიის შესაძლებლობების მაქსიმუმია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტიური მოლაპარაკებების მთელ პროცესში კომპანიის ხელმძღვანელები კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების სურვილსა და მზაობას გამოხატავდნენ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ კომპანიასთან სოციალური დიალოგის ხარისხი მომავალშიც მაღალი იქნება და კომპანიის მიერ ზემოთხსენებული გეგმების წარმატებით განხორციელების შემდეგ, მომავალში გაფორმებული ყველა კოლექტიური ხელშეკრულება, გაცილებით მაღალი ღირებულებისა იქნება. თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ, ყველამ ერთად - პროფკავშირმა, როგორც ორგანიზაციამ და მეშახტეებმა, როგორც შრომითი პროცესების უშუალო მონაწილეებმა, მაქსიმალური წვლილი უნდა შევიტანოთ კომპანიის გეგმების წარმატებით განხორციელებაში.

კოლექტიური ხელშეკრულებით, გარდა ორმხრივი ვალდებულებებისა, ასევე მაქსიმალურად არის დარეგულირებული სახელფასო სისტემა, ვრცლად არის საუბარი შრომის უსაფრთხოების, სანიტარული მდგომარეობის, შრომის ორგანიზების, მეშახტეთა საჭირო ნივთებითა და მასალებით მომარაგების და სხვა უამრავი საკითხის შესახებ. პროექტი ასევე ითვალისწინებს პროფკავშირის წევრთა ვალდებულებებსაც, რომელთა არ შესრულების შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია შეაჩეროს კოლექტიური ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება.

კოლექტიური ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს 1 წლის განმავლობაში, ვადის გასვლის შემდეგ კი მხარეებს შეუძლიათ განიხილონ მასში ცვლილებების შეტანის, ან მის გარეშე ვადის გახანგრძლივების საკითხი.

მნიშვნელოვანია, რომ კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული როგორც ბენეფიტები, ასევე პასუხისმგებლობები ავტომატურად გავრცელდება იმ მეშახტეებზე, რომლებიც კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების მომენტში უკვე არიან პროფკავშირის წევრები, ხოლო მათზე, რომლებიც არ არიან პროფკავშირის წევრები, გავრცელდება პროფკავშირში გაწევრიანების შემდეგ.“

„ძიძიგურისა“ და „მინდელის“ სახელობის შახტებზე, სასადილოს პერსონალს უნიფორმები დაურიგდა

ჯუმბერ გაბრიაძე - ისტორია და მოგონებები

ამჯერად უხუცესი, ღვაწლმოსილი მეშახტის ამბავს მოგიყვებით და ჯუმბერ გაბრიაძეს გაგაცნობთ.

ბატონ ჯუმბერს მშობლიურ სოფელში, ძუყნურში ვესტუმრეთ, სადაც პენსიზე გასვლის შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად. დღემდე იქ ცხოვრობს საყვარელ მეუღლესთან, ნანი ბუბაშვილთან და შვილთან ერთად.

გაბრიაძეების კარ-მიდამოს მზრუნველი მეოჯახის ხელი ეტყობა. ბატონი ჯუმბერი 84 წლის გახლავთ. თავს კარგად გრძნობს, მშობლიურ სახლს უვლის და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. როგორც თავად აღნიშნავს, თავისი სამყოფი თავისივე ხელით მოჰყავს. ენერგიული, პოზიტიური და სტუმართმოყვარე ადამიანია. ჩვენი მისვლისთვის განსაკუთრებულად მოემზადა - სათუთად შენახული შრომის წიგნაკი, ძველი ფოტოები, ძველი გაზეთის ფრაგმენტები და საპატიო მეშახტის ფორმა გვაჩვენა. თავისი ამბავი ფურცელზე დაგვიწერა (რომ მნიშნელოვანი მოგონებები არ გამოგვრჩენოდა), შეშის ფეჩი დაგვინთო და დინჯად დაიწყო თავისი ისტორიის მოყოლა.

ჯუმბერ გაბრიაძე 1937 წლის 11 ივლისს, ტყიბულის რაიონის სოფელ ძუყნურში დაიბადა. მამა ელისი გაბრიაძეც მეშახტე იყო. ბატონმა ჯუმბერმა დაწყებითი განათლება ძუყნურის სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლა საწირის საშუალო სკოლაში გააგრძელა და 1957 წელს წარმატებით დაამთავრა. იმავე წელს ჯარში გაიწვიეს. 3 წლის შემდეგ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა და ოჯახის ტრადიაცია გააგრძელა - ბაბუა, მამა და ძმები სამთოელები იყვნენ, თავადაც გადწყვიტა მეშახტე გამხდარიყო.

23 წლის ასაკში, უფროსი ძმის, ჭიჭიკოს დახმარებით მუშაობა ტყიბულში, მაშინდელ „სტალინის“ სახელობის შახტში, მესამე საექსპლუატაციო უბანში დაიწყო. თავიდან წმედნდითი სანგრევის მუშა იყო. შახტში ოცდათორმეტი წელი იმუშავა და წლების მანძილზე მხოლოდ პოზიციებს იცვლიდა.

სხვდასხვა დროს შახტში დამსახურებული საქმიანოისთვის მრავალი ჯილდო და საჩუქარი მიიღო - ავტომანქანა, ბინა ტყიბულში და საპატიო მეშახტის ფორმა, რომელსაც დღემდე დიდი რუდუნებით ინახავს და უვლის.

ბატონ ჯუმბერს სამი შვილი, სამი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი ჰყავს. ოჯახის ტრადიცია მისმა შვილმა, ელგუჯა გაბრიაძემ გააგრძელა. ის „ძიძიგურის“ შახტშია დასაქმებული და წლებია ღირსეული მეშახტის სახელს ატარებს.

ჯუმბერ გაბრიაძე: „თავიდან მუშაობა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ვუყურებდი ჩემი თანატოლები როგორ მსუბუქად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მეც მათ გვერდში მუშაობას მივეჩვიე. გადავწყვიტე, სამსახურთან ერთად სწავლაც გამეგრძელებინა და საბუთები ქუთაისის სამთო ტექნიკუმში შევიტანე. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე და მიწისქვეშა სამთო საბადოების დამუშავების სპეციალობაზე ჩავირიცხე. ტექნიკუმი 1965 წელს დავამთავრე.

ამის შემტეგ შახტის ხლმძღვანელობამ ცვლის უფროსად გადამიყვანა, შემდეგ უბნის უფროსის მოადგილედ და 1974 წლიდან N3 უბნის უფროსად ვიმუშავე. შახტზე უბნის უფროსობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და მიზნად დავისახე, ეს საქმე ფრიადზე შემესრულებინა. უბანში ინჟინერ ტექნიკური პერსონალის ჩათვლით 100-110 კაცი მუშაობდა და მე ვიყავი მათზე პასუხისმგებელი - როგორც უსაფრთხოებაზე, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ყველა მუშასთან, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან, მათ ოჯახებთან კარგი ურთიერთობა მქონდა, ამიტომ მშრომელი კოლექტივი ჩემი მოწოდების კვალდაკვალ მომყვებოდა და შედეგიც სახეზე იყო - სახელმწიფო გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებდით.

1978 წელს, კადრების ცვალებადობის მიზნით, N2 უბანში გადამიყვანეს, სადაც1983 წლამდე ვიმუშავე. 1983 წლის ნოემბერში N1 უბანში, უბნის უფროსად გადამიყვანეს. ამ პერიოდში უბანი ჩამორჩენილთა რიგებში იყო, არ სრულდბოდა სახელმწიფო გეგმა, მცირე იყო მუშის გამომუშავება. ამიტომ, მშრომელი კოლექტივი უკმაყოფილო იყო, არადა უბანში გამოცდილი, სამთო საქმეში გამობრძმედილი ადამიანები მუშაობდნენ. გვერდში გვედგა შახტის მთავარი ინჟინერი, რომლის მოთხოვნითაც გადამიყვანეს ამ უბანში. უბნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გააზრებული მუშაობით უბანი მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა, ყოველ თვეს ვასრულებდით სახელმწიფო გეგმას. შახტის გარდამავალი წითელი დროშა N1 უბნის საგანრიგოში ფრიალებდა.

უბნის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის, უსაფრთხოების წესების დაცვისთვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისთვის, მშრომელი კოლექტივის წევრებს შორის თბილი, მეგობრული დამოკიდებულებისთვის, მთავარი ინჟინერის გ.ჯოჯუას გადაწყვეტილებით რიგგარეშე გადმომცეს ავტომანქანა „ჟიგული.“

მუშაობის პერიოდში ყოველთვის ვცდილობდი ახალი ტექნოლოგიები დამენერგა და ახალი რაციონალიზატორული წინადადებებინ გამომეყენებინა. გამოგონებული და დანერგილი მაქვს 40-მდე რაციონალიზატორული წინადადება, რომელმაც გაადვილა მძიმე შრომა, გაზარდა შრომის ნაყოფიერება და დიდი ეკონომია მოუტანა უბანს. ასეთი შემართებით ვიმუშავე 1983 წლიდან 1987 წლის ბოლომდე. 1987 წელს გავედი დამსაურებულ პენსიაზე. ამიტომ, ჩემი განცხადების საფუძველზე გადამიყვანეს სარემონტო უბანში. იქ 1992 წლამდე ვიმუშავე. შემდეგ გავასწორე ანგარიში და დავბრუნდი ჩემს მშობლიურ სოფელში, სადაც დღემდე ვცხოვრობ მეღლესთან და უფროს შვილთან ერთან. ვეწევი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯუმბერ გაბრიაძის შვილი, ელგუჯა გაბრიაძე ოჯახის ტრადიციას აგრძელებს და ღირსეულად ატარებს მეშახტის სახელს. მან „საქნახშირში“ მუშაობა 2000 წელს, დაცვის სამსახურში დაიწყო. შემდეგ „ძიძიგურის“ შახტზე, რემონტის უბანში დასაქმდა და დღემდე აქ მუშაობს.

ელგუჯა გაბრიაძე ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა, დაამთავრა ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმი. ჯარში წასვლამდე, 1986 წელს ერთი წელი მაშინდელ „სტალინის“ სახელობის შახტზე, მოძრაობის უბნის ელდეპოს ელექტრო ზეინკლად იმუშავა. ჰყავს მეუღლე, მადლენა ვერულაშვილი, ორი ვაჟი და სამი შვილიშვილი. ელგუჯა აღნიშნავს, რომ „საქნახშირში“ კარგ კოლექტივში მუშაობს. მოხარულია, რომ სამუშაოდ ქვეყნის გარეთ წასვლა არ უწევს და მშობლიურ ქალაქშია დასაქმებული, რისთვისაც მადლობას უხდის კომპანიას და მის ხელმძღვანელობას.

P.S. გაბრიაძეების სახლიდან წამოსვლამდე, ბატონი ჯუმბერის მეუღლეს, ქალბატონ ნანისაც გავესაუბრეთ. მეუღლეზე საუბირსას აღნიშნა - ასეთი ადამიანი ყველა ოჯახს უნდა ჰყავდესო. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბატონი ჯუმბერის სახით მართლაც გამორჩეული ადამიანი გავიცანით.

“საქნახშირი” მწუხარებას გამოთქვამს

მარლენ ბახუტაშვილის გარდაცვალების გამო

მარლენ ბახუტაშვილი 1948 წლის 25 იანვარს, ტყიბულში დაიბადა. მან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მარგი წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგიისა და კომპლექსური მექანიზაციის მიმართულებით დაამთავრა. სამთო სფეროში მოღვაწეობა 1964 წელს, მუშის პოზიციაზე დაიწყო და წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციაზე იმუშავა. მათ შორის გახლდათ „ძიძიგურის“ სახელობის შახტის დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში, ტექნოლოგიური განყოფილების უფროსის მოადგილე... ბატონი მარლენი 2021 წლამდე სასწავლო პუნქტის შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტორი იყო.

მარლენ ბახუტაშვილი დიდი დანაკარგია როგორც „საქნახშირისთვის,“ ისე ჩვენი ქალაქისთვის. კომპანია სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

გაიცანით „საქნახშირის“ სამედიცინო პუნქტის ექთნები!

„საქნახშირში“ ორი სამედეცინო პუნქტი ფუნქციობს, “მინდელის” სახელობის შახტის და „ძიძიგურის“ სახელობის შახტის. თითეულ მედპუნქტში 4 ექთანი 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით მუშაობს. მათი მოვალეობა სამუშაო ობიექტზე წასვლამდე მეშახტეების ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლი და ალკოჰოლზე შემოწმებაა. შახტში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო პოზიციაზე დასაქმებულებისთვის - სამთო ოსტატებისთვის, მემანქანეებისთვის და ამფეთქებელებისთვის, შემოწმება სავალდებულოა.



გარდა ამისა, ექთნის მოვალეობაა შახტში დაშავებულებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. ძიძიგურის შახტის მედპუნქტის ექთნების მოვალეობაში ასევე შედის შახტზე შემსვლელების თერმორსკრინინგი.

შახატის მედპუნქტებში პროფესიონალი და გამოცდილი მედიკოსები მუშაობენ, რომლებიც უკვე წლებია ზრუნავენ მეშახტეების ჯანმრთელობაზე. ყოფილა შემთხვევები, რომ შახტის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვისაც გაუწევიათ პირველადი სამედიცინო დახმარება და მათთვის სიცოცხლე შეუნარჩუნებიათ.

ნანა ჩესნაკოვა ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა, მეხუთე საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ ტყიბულში არსებული სამედეცინო სასწავლებელი მედდის სპეციალობით დაამთავრა. მინდელის სახელობის შახტზე მუშაობა 2007 წელს ექთნად დაიწყო და დღემდე აქ საქმინობს. ჰყავს ერთი შვილი, 23 წლის ივანე ჩესნაკოვა, რომელიც ქვა-ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში ოპერატორად მუშაობს. ნანა გამოცდილი ექთანია, წლებია პირნათლად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მას ბევრჯერ გაუწევია სამედიცინო დახმარება მეშახტეებისთვის.

ჩესნაკოვების ოჯახის შემოსავლის წყარო „საქნახშირში“ მიღებული ჰონორარია.

მაია ვერულაშვილი პროფესიით ექიმია, მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სტომატოლოგის კვალიფიკაციით დაამთავრა. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ განაწილებით რამდენიმე წელი ზესტაფონის სოფლების, შროშასა და კლდეეთის ამბულატორიაში, ასევე ზესტაფონის პოლიკლინიკაში ექიმ-სტომატოლოგად მუშაობდა. შემდეგ 5 წელი ტყიბულის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის სტომატოლოგი იყო.

ქალბატონი მაია „მინდელის“ სახელობის შახტის მედპუნქტში ექთნად 2014 წლის მარტში დასაქმდა და დღემედე ამ პოზიციაზე მუშაობს. მეუღლე, ტარიელ ქასრაშვილი წლების მანძილზე „საქნახშირში“ სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, იყო შახტის დირექტორის მოადგილე. ის 2014 წლის 28 იანვარს შახტში უბედური შემთხვევისას დაიღუპა. ჰყავს სამი შვილი.

მაია მახარობლიშვილი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მიიღო. სწავლის დაწყებამდე სანიტრად მუშაობდა (სტაჟიორად), ვინაიდან, იმ წლებში ინსტიტუტში ჩასარიცხად ეს სავალდებულო იყო. სტუდენტობის პერიოდში რესპუბლიკური საავადმყოფოს ალერგოლოგიურ განყოფილებაში, უმცროს ექთნად იმუშავა.

ქალბატონმა მაიამ სამედიცინო ინსტიტუტი პედიატრიის კვალიფიკაციით დაამთავრა. ის 3 წელი რესპუბლიკურ საავადმყოფოს ფილიალში სასწარაფო სამედიცინო დახმარების ექიმად მუშაობდა. უამრავი სიცოცხლე გადაურჩენია, ყველა ავადმყოფის ტკივილი და განსაცდელი გათავისებული ჰქონდა და სწორედ ამიტომ, პაციენტებსა და თანამშრომლებში დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა. შემდეგ სიყვარულით დაქორწინდა ტყიბულელ გელა ბუბაშვილზე, რომელიც პროფესიით ექიმი-სტომატოლოგი და ფიზიო თერაპევტია. ჰყავთ 4 შვილი, სამი გოგონა და ერთი ვაჟი.

მათი დიდი ოჯახი წლების წინ თბილისიდან ტყიბულში დაბრუნდა საცხოვრებლად. ქალბატონი მაია 4 წელია „მინდელის“ შახტის მენდპუნქტში მედდად მუშაობს. მეუღლეც „საქნახშირის“ თანამშრომელია.

„ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა რომ 9 მაისს შახტში დიდი ტრაგედია დატრიალდა. 4 შესანისნავი პიროვნება ტრაგიკულად დაიღუპა. ამ ამბავმა სულით ხორცამდე შემძრა. შემდეგშიც თითქმის ყველა ტრაგედია ჩემს მორიგეობას ემთხვეოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა წნეხის ქვეშ ვექცეოდი. სულიერად გავნადგურდი, დავიზაფრე. ენით აღუწერელი იყო ის დიდი ტკივილი და განცდა, რომელსაც თითოეული მეშახტე გულით ატარებდა. ეს მოგონება ყოველთვის დიდ ტკივილად გაჰყვება ჩემს გულსა და გონებას.

მალე შახტა ჩემს მეორე, დიდ ოჯახად იქცა. შახტის კოლქტივი კი ჩემი გულისცემაა. ერთად გვიხარია, ერთად გვტკივა, ერთმანეთს ვუზიარებთ სითბოსა და სიყვარულს. სამსახურში მოსვლა მათით მიხარია. მადლობა ყველას ამ სითბოს გამომჟღავნებისთვის.

თითოეული მეშახტის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩემთვის უმთავრესი და ძვირფასია. ყველა მიყვარს, თითქოს ყველა ახლობელია. ვცდილობ, პატივისცემით მოვეპყრო თითოეულ პიროვნებას, რისთვისაც თავადაც ანალოგიურად მპასუხობენ. „საქნახშირში“ მუშაობის წლები, აქ გატარებული თითოეული წამი, ყოველთვის მემახსოვრება და დაუვიწყარ ლამაზ მოგონებად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

დიდ მადლობას ვუხდი კომპანიას, რადგანაც შახტში მათი მოსვლის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ყველაფერი - გამოსწორდა და მკაცრად გაკონტროლდა უსაფრთხოება, დასაქმდა მრავალი მოქალაქე. პანდემიის რთული პირობების და პერიოდის მიუხედავად (რთული დღეები გაიარა საქართველომ), შახტზე ეს თითქმის არ გვიგვრძნია. არ შეჩერებულა მუშაობა, ხელფასების დარიგება. შახტა მუშაობს გამართულად. ხელმძღვანელობის მხრიდან ვგრძნობთ გულისხმიერებას, გარკვეული ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდა. მადლობა ამისთვის კომპანიის ხელმძღვანელებს: მიხაილ სოკკის, ოლეგ როზუმს,ზურაბ აღდგომელაშვილს და ყველას, ვინც ამ პერიოდში მეშახტეების გვერდით დგას და იზიარებენ მათ პრობლემებს.

ასევე, მადლობელი ვართ შახტის სასადილოს თანამშრომლების, ვინაიდან თავდაუზოგავად, მუხლჩაუხრელად, ერთგულად გვემსახურებიან და უგემრიელესი საჭმელებით გვანებივრებენ.

ვინაიდან პანდემია კვლავ მძვინვარებს ჯანმრთელობას, მშვიდობას, სიკეთეს, ბედნიერებას და სიყვარულს ვუსურვებ ჩემს კოლექტივს, „საქნახშირის“ ყველა თანამშრომელს და სრულიად საქართველოს. გვწამდეს სიყვარულის და ერთობა გადაგვარჩენს. უფალი ჩვენთან იყოს! უსასრულო ღვთის წყალობა არ მოგკვლებოდეს და ყველაფერი კარგად იქნება.

თამილა მიაქიაშვილი „მინდელის“ სახელობის შახტის სამედიცინო პუნქტის ერთადერთი თანამშრომელია, რომელიც მრავალი წელია უცვლელად მუშაობს მედპუნქტში. მას შახტში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

ქალბატონი თამილა ტყიბულის პირველი საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ რუსეთში წავიდა, იქ სწავლობდა და მუშაობდა 6 წლის მანძილზე. დაამთავრა ქალაქ პერმის სამედიცინო სასწავლებელი, საბებიაქალოს კვალიფიკაცით. რუსეთიდან 1992-93 წლებში დაბრუნდა, ჩამოვიდა მშობლიურ ტყიბულში და მუშაობა „მინდელის“ სახელობის შახტის მედპუნქტში, მედდად დაიწყო. დღემდე ამ პოზიციაზე უცვლელად მუშაობს. ჰყავს 2 გოგონა და 1 შვილიშვილი.

გამოცდილმა მედიკოსმა ჩვენთან საუბრისას შახტში მისი მუშაობის 28 წლიანი პერიოდი გაიხსენა. მედდის მოვალეობებზე, მის მიერ გაწეულ რთულ და საპასუხიმგებლო საქმიანობის შესახებ გვესაუბრა:

„მინდლის“ შახტის მედპუნქტში 1992 წელს დავიწყე მუშაობა და დღემდე აქ ვმუშაობ. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა დაზარალებულზე პირველადი დახმარების ჩატარება. სასწრაფოს მოსვლამდე ტკივლგამაყუჩებლის გაკეთება ან სისხლდენის შეჩერება. უშუალოდ მედპუნქტის მოვალეობაა მეშახტეების ჯანმრთელობის კონტროლი. განსაკუთრებით იმათი, ვისაც პასუხისმგებლობა აქვთ სხვის მიმართ - სამთო ოსტატების, ამფეთქებლების, მემანქანეების. ვაკონტროლებთ მათ წნევას, ვამოწმებთ ალკოჰოლზე.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში იყო პერიოდები, რომ საერთოდ ვერ მოდიოდა სასწრაფო დახმარება, ან თუ მოდიოდა 2- 3 საათის დაგვიანებით, რადგანაც რაიონს 1 სასწრაფო ემსახურებოდა. სამი საათი კი არა, წამები წყვეტს ყველაფერს, პირველადი დახმარება გადამწყვეტია ადამინის სიცოცხლისთვის, ვერ დაადგები დაშავებულს თავზე და ვერ დაელოდები როდის მოვა სასწრაფო. უნდა იმოქმედო და დეხმარო დაშავებულს. არაერთი შემთხვევა ყოფილა და გაგვიწევია პირველადი დახმარება, გამოგვიყვანია მდგომარეობიდან, გადაგვირჩენია სიკვდილს.

ადრე, კომუნისტების დროს, მიწისქვეშ მედდპუნქტი იყო მოწყობილი, სადაც კეთდებოდა პირველადი დახმარემა და მერე ამოჰყავდათ დაშავებული ზემოთ მედპუნქტში. თუ მძიმე მდგომარეობა იყო პირდაპირ გადაჰყავდათ საავადმყოფოში. მაშინ ყველა სმენას მიყვებოდა შახტში ექთანი, ანუ ერთი ექთანი მუდმივად იყო მიწისქვეშა მედდპუნქტში.

მაშინდელ პერიოდში (ოთხმოცდაათიან წლებში) მარტო შახტას კი არ ვემსახურებოდით, მე პირადად, ბევრჯერ მქონია შემთხვევა, რომ შახტის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას წავუყვანივარ დასახმარებლად. სასწრაფო ვერ მოდიდოდა დროულად და მე მიწევდა პირველადი დახმაების გაწევა. ხშირი იყო შემთხვევები, რომ სასწრაფოს რამდენიმე საათით დაუგვიანია და რომ არ დავხმარებოდი სასწრაფოს, შესაძლოა ვერ გადარჩენილიყო პაციენტი.

მიუხედავად იმისა, რომ რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა გვქონდა, მაშინ ხელფასი არ იყო დიდი. თავიდან, მუშაობა რომ დავიწყე საბჭოთა ფული იყო, შემდეგ კუპონები შემოვიდა და მახსოვს, სადეკრეტო შვებულებაში რომ გავედი 2 მილიონი კუპონი, სადეკრეტო შვებულების თანახა ტომრით მომიტანეს სახლში. მერე ლარი შემოვიდა და 14 ლარამდე მქონდა ხელფასი. შემდეგ 35 და 70 ლარი იყო, 140 ლარი რომ გახდა უკვე კარგი ხელფასი იყო. წლების მანძილზე უმჯობესდებოდა ანაზღაურება.

დღეის მდგომარეობით გვაქვს ნორმალური სამუშაო პირობები, შესაბამისი ანაზღაურება. მადლობლები ვართ კომპანიის რომ შახტა მუშაობს გამართულად და ჩვენს მიმართაც პატივცემით არაინ განწყობილები. დღეს უკვე ჩვენი შრომა დაფასებულია ხელმძღვანელობის მხრიდან.

ნანა გელოვნიშვილი 2010 წლიდან დღემდე ძიძიგურის სახელობის შახტის მედპუნქტის ექთანია. ქალბატონმა ნანამ ტყიბულის N1 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის N1 სამედიცინო ტექნიკუმში გაარძელა. ტექნიკუმის დასრულების შემდეგ, 1992 წელს ტყიბულში დაბრუნდა და რამდენიმე თვე სოფელ ხრესილის საექიმო ამბულატორიაში მედდად მუშაობდა. შემდეგ ტყიბულის მეხუთე საშუალო სკოლაში ექთნად დაიწყო მუშაობა, სადაც 18 წელი იმუშავა.

მეუღლე, ზაზა ბარბაქაძე წლებია შახტშისხვაადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობს. ამჟამად „ძიძიგურის“ შახტში მეოთხე უბანში მუშაობს ათისთავად. ყავს გოგო და ბიჭი.

ქალბატონ ნანას შახტში საქმიანობის დროს ბევრისთვის გაუწევია პირველადი სამედიცინო დახმარება. „მენდპუნქტში ჩემი მორიგეობისას შემოიყვანეს დაშავებული მეშახტე, რომელსაც ჭრილობა ჰქონდა ხელზე. გადაჭრილი იყო მყესები. ჭრილობა ისე დავამუშავე სასწარფომ ქუთაისის კლინიკაში რომ გადაიყვანა ჩემი დამუშავებული ჭრილობის გახსნა აღარც დასჭირდა.“

მზია ბარბაქაძემ სამედიცინო განათლება რუსეთში მიიღო, 1989 წელს ქალაქ პერმში სამედეცინო ტექნიკუმი მედდის სპეციალობით დაამთავრა. სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა ქალაქ პერმის საავადმყოფოს ლაბორატორიაში და რეგისტრატურაში. საქართველოში 1992 წელს დაბრუნდა და მუშაობა მშობლიურ ქალაქში, მაშინდელი ლენინის სახელობის შახტის მედპუნქტის ექთნად დაიწყო, როგორც თავად იხსნებს მაშინ ძალიან დატვირტული სამუშაო გრაფიკი იყო, შესაბაისად, მედპუნქტშიც ბევრი ექთანი იყო დასაქმებული.

ჰყავს 2 გოგონა. ოჯახური მდგომარეობის გამო შახტში რამდენიმე წლით მუშაობა შეწყვიტა, 2007 წელს ისევ დაბრუნდა და დღემდე „ძიძიგურის“ შახტის მედდად მუშაობს.

მისი მრავალწლიანი საქმიანობის პერიოდში იყო რთული შემთხვევები და მძიმედ დაშავებულები, რომელთაც წარმატებით გაუწია პირველადი სამედეიცინო დახმარება როგორც პროფესიონალმა მედდამ.

ძიძიგურის შახტის მედდამ *ნათია გვენეტაძემ* ტყიბულის საექიმო კოლეჯი ექთნის სპეციალობით დამთავრა. შემდეგ ქუთაისში ისწავლა ფარმაცევტულ სასწავლებელში. ის პროფესიით მედდა და ფარმაცევტია. ექთნად მუშაობდა თერჯოლის საავადმყოფოში, ასევე ფარმაცევტად ტყიბულში კერძო აფთიაქში. 2017 წლიდან ძიძიგურის შახტის მედპუნქტის ექთანია. ჰყავს მეუღლე და ერთი გოგონა.

ნინო ახვლედიანი ძიძიგურის შახტის მედპუნქტის ყველაზე ახალი თანამშროელია, ის მედპუნქტში 6 თვეა რაც მუშაობს. ქალბატონმა ნინომ საექთნო ქუთაისში დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ 1992 წელს მუშაობა „მინდელის“ სახელობის შახტის მედპუნქტში დაიწყო, სადაც რამდენიმე წელი იმუშავა. გარკვეული პერიოდი მუშაობდა ტყიბულის პოლიკლინიკაში, სამშობიარო სახლში და სტომატოლოგიურ კლინიკაში. 10 წლის მანძილე იყო ტყიბულის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ექთანი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მამუკა ჯიქია: „ჩვენი გუნდი მაღალი დონის პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული და ყველანაირ კვლევას ვაკეთებთ“

ცოტა ხნის წინ, „საქნახშირის“ დაზღვევის პაკეტს ქუთაისის კლინიკა LJ შეუერთდა. გაზეთი „მეშახტე“ დაინტერესდა, კონკრეტულად რა სერვისების მიღება შეუძლიათ პაციენტებს LJ-ში და რამდენად სრულყოფილად არის აღჭურვილი კლინიკა თანამედროვე აპარატურით. აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად კლინიკის დამფუძნებელს, ბატონ მამუკა ჯიქიას ვესტუმრეთ:

მამუკა ჯიქია: „ ჩვენი კლინიკა 2003 წლის შემოდგომით გაიხსნა. მისი დამფუძნებლები გახლავართ მე, მირიან ჭეიშვილი (ანგიო ქირურგი, აბდომინალური ქირურგი) და ზაზა ლომინაძე (კარდიოლოგი). თავიდან მხოლოდ კარდიოლოგიური განყოფილება და თვალის განყოფილება ფუნქციობდა, ამხელა არ იყო. წლების განმავლობაში სხვადასხვა მიმართულება დაემატა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ჯამში 6000 კვ. მეტრი გვიკავია. საოპერაციო ბლოკები მესამე სართულზე გვაქვს. აქედან ორი კარდიო ქირურგიის დარბაზია, ერთი ნეიროქირურგიის, 1 ტრავმატოლოგიის და 3 მუცლის ღრუს ქირურგიის დარბაზი. დამატებით არის კიდევ 3 დარბაზი თვალის ოპერაციებისთვის. გეგმიური, თვალის და ქუთუთოს ოპერაციები სხვადასხვა დარბაზში კეთდება.

განვითარების რა ეტაპები გაიარა კლინიკამ და რომელი მიმართულებები დაგემატათ?

ჩვენი გუნდი მაღალი დონის პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული და ყველანაირ კვლევას ვაკეთებთ. განვითარების და განახლების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს. უკვე გვაქვს ოფთალმოლოგია ამბულატორიული კვლევებით, ადგილზეა ყველანაირი აპარატურა, რაც ამ დარგში არსებობს. მაღალ დონეზეა ოფთალმოქირურგია, ჩვენთან თითქმის ყველანაირი ოპერაცია კეთდება. მაღალ დონეზეა ქირურგიის მიმართულება, 2005 წელს დაინერგა ლაპარასკოპიული ქირურგია და ფაქტობრივად, ჩვენ დავნერგეთ პირველებმა (ამ მეთოდით ძალიან მარტივი გახდა პაციენტის რეაბილიტაცია). თავის დროზე გერმანელი სპეციალისტებიც გვყავდა მოწვეული. ამის შემდეგ განვავითარეთ კარდიოლოგია, ინტერვეციული კარდიოლოგია (გულ-სისხლძარღვთა სტენტირება). 10 წელია მუშაობს ნეიროქირურგიაც. 3 წელია რაც ჩვენთან კარდიოქირურგიული ოპერაციები წარმატებით კეთდება.

რას გვეტყვით თანამედროვე აპარატურაზე, რამდენად სრულად არის აღჭურვილი კლინიკა?

გვაქვს კომპიუტერული ტომოგრაფია, ექოსკოპიის აპარატები, დიდი ხანია ვაკეთებთ კარდიოექოსკოპიასაც. საკმაოდ დიდი მომართვიანობა გვაქვს და ამიტომ მეორეც აპარატიც დავამატეთ. 2020 წელს კომპიუტერული ტომოგრაფიის სულ ახალი აპარატი შევიძინეთ („ჯენერალ ელექტრიკის“ ბრენდის). ასევე გვაქვს „ჯენერალ ელექტრიკის“ მაგნიტური რეზონანსის აპარატი. გვაქვს სრულყოფილი ლაბორატორია, 24 საათიან რეჟიმში მუშაობს და თითქმის ყველა ანალიზი კეთდება.

გახსნის დღიდან დღემდე მაღალ დონეზე განვითარდა კარდიოლოგია და კარდიოქირურგია. ვეებერთელა განყოფილება გვაქვს, სადაც ყველანაირი კვლევა და შესაბამისი მკურნალობა ტარდება. კარდიოლოგიის განყოფილებაში 24 საწოლია, კარდიორეანიმაციაში 12 საწოლი, ინტენსიურ კარდიოლოგიაში 4 საწოლი. გვაქვს კატლაპის აპარატი.

როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი კლინიკის წარმატება?

ეს კლინიკა ექიმების მიერ არის შექმნილი. ჩვენ აქცენტი არ გვქონია მოგებაზე. ამ წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, მოგების გარეშე ვიმუშავეთ. ყველანაირ შემოსავალს განვითარებას ვახმარდით. ჩვენ რომ ეს საქმე დავიწყეთ, ქუთაისში კერძო კლინიკა არ არსებობდა. ამხელა ფართზე, რაც ახლა გვიკავია, პრეტენზიაც არ გვქონდა. პრაქტიკულად, ძალიან მცირედით დავიწყეთ და წლების განმავლობაში მოვედით აქამდე.

არის რაიმე მომსახურება, რასაც ჯერ ვერ აკეთებთ?

არის შემთხვევები როცა პაციენტებს სხვაგან ვაგზავნით, მაგრამ ძირითადად, ჩვენს კლინიკაში ყველაფერი კეთდება. ყველაზე მძიმე ოფთალმოლოგიური პაციენტები, რა თქმა უნდა, ჩვენთან მოდიან. ამჟამად კლინიკაში ყველაფერი გვაქვს და ყველანაირ კვლევას ვაკეთებთ. თუმცა, მედიცინა ისეთი საკითხია, განახლება სულ სჭირდება, თანამედროვეობას ფეხი უნდა აუწყო. ამ მიზნის ვცვლით და ვაახლებთ ხოლმე აპარატურას.

ჩვენ მეორე კლინიკაც გავხსენით, “LJ და კომპანია” ჰქვია. ტუბ დისპანსერის ადგილას გაიხსნა. იქ მაშინ საშინელი მდგომარეობა იყო. 3 წლის წინ ავაშენეთ ახალი შენობა, ძველი შენობა სულ დავშალეთ და ხელმეორედ გავაკეთეთ. ახლა იქ კოვიდ პაციენტები წვანან.

პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი ახსენეთ... მოგვიყევით თქვენი ექიმების შესახებ.

ვინც ჩვენთან მუშაობს, ყველას რუსეთში ან ევროპაში აქვს მიღებული განათლება. მაგალითად, მირიან ჭეიშვილი, რომელიც ექიმების ოჯახიდან გახლავთ. მამისი ცნობილი ნეიროქირურგი, ანრი ჭეიშვილი იყო, მთელი საქართველო იცნობდა. დედამისი ცნობილი ჰემატოლოგია. ასევე აღვნიშნავ გოგიტა აბულაძეს, ნერვოლოგს. რიგები აქვს იმდენი პაციენტი ჰყავს. ჩვენთან ძალიან კარგი და ცნობილი კარდიოქირურგები მუშაობენ. ერთ-ერთია ლევან ფუჩია, ძალიან კარგი სპეციალისტი; ლევან ქარაზანაშვილი, რომელიც იტალიაში მუშაობდა და ძალიან ცნობილი კარდიოლოგია. თავიდანვე მან დაიწყო ჩვენთან ოპერაციები. ადგილზე ყოველთვის გვყავს ორი ქირურგი.

მინდა გამოვყო ჩვენი ახალგაზრდა ქირურგები: გიორგი კუხიანიძე, გიორგი ხაჭაპურიძე და გიორგი ფრუიძე. ძალიან პერსპექტიულები არიან. ოფთალმოლოგიის მიმართულებით ჩემი შვილი მუშაობს. ფაქტობრივად ის აკეთებს ყველა ოპერაციას. მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო დროს, ჩვენთან ოფთალმოლოგია ძალიან განვითარდა. განაკვეთის გარეშე, ფაკოემულსიფიკაციით კეთდება თვალის ოპერაციები. ყოფილა შემთხვევები, რომ ადამიანს ფაქტობრივად მხედველობა არ ჰქონია და აღგვიდგენია.

უკვე 5 წელია LJ-ში მუშაობს ირაკლი ხაბეიშვილი. განათლება საზღვარგარეთ მიიღო, ლიცენზია აიღო და ამ პატარა ასაკში, ცნობილი ექიმი გახდა. ირაკლი ტრავმატოლოგია, ურთულეს ოპერაციებს აკეთებს, რომელიც ძალიან ბევრ ადგილას ვერ კეთდება.

რა ღონისძიებები ტარდება პერსონალის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით?

ამჟამად კლინიკაში 12 კვლევა მიმდინარეობს. ცალკე გვაქვს კაბინეტი, სადაც სამი ადამიანი მუშაობს ამ კვლევებზე. ფაქტობრივად, ყველა დარგში მიმდინარეობს საერთაშორისო კვლევა - რეანიმაციის, ნეიროქირურქიის, თვალის, კარდიოლოგიის და ქირურგიის მიმართულებით. წელიწადში 2-3 საერთაშორისო კონფერენცია ტარდება რომელშიც ჩვენი ექიმები მონაწილეობენ. გარდა ამისა, ყოველთვიურად, ყველა დარგი მოხსენებას აკეთებს. ვმონაწილეობთ ადგილობრივ ღონისძიებებშიც. გვაქვს საკონფერენციო დარბაზი, ვიწვევთ წამყვან სპეციალისტებს, რომ გადამზადება ჩავუტაროთ ექთნებს და სანიტრებს. გარდა ამისა, ჩვენი ექიმები დადიან ერთთვიან, ორთვიან კურსებზე. დაკავშირებულები ვართ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან და ახალგაზრდები ჩვენთან გადიან კვალიფიკაციას.“

ირაკლი ხაბეიშვილი: *„ალბათ, ყველა ადამიანს უნდა რომ რაღაც კარგი გააკეთოს, ვინმეს დაეხმაროს და რომელ სფეროსთანაც ახლოს არის, იმ სფეროში უნევს თავის სურვილებს რეალიზება. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. მამის გავლენა, რა თქმა უნდა, დიდი იყო და ტრავმატოლოგიას გავყევი. ძალიან სასიამოვნოა ადამიანს რომ ეხმარები. რთული და მარტივი ოპერაციები არ არსებობს. ყველა ოპერაციას სერიოზული მიდგომა სჭირდება. მომართვიანობა დიდია და ალბათ ვაკეთებთ საქმეს ისე, რომ თქვენც დაინტერესდით. პირველ რიგში, ეს არის ოჯახის, მასწავლებლების, უნივერსიტეტის დამსახურება. ბატონი მამუკა გვაძლევს შესაძლებლობას რომ საქმე ვაკეთოთ. როგორი ცოდნაც არ უნდა გქონდეს, საჭიროა შესაბამისი აპარატურა, რესურსი, რომ ეს ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენო. „*

ტყიბულში, ცენტრალური საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა

საქართველოს საავტომობილო გზების დაკვეთით რეაბილიტაცია უტარდება ქალაქის ცენტრალური საავტომობილო გზის 5 კმ-იან მონაკვეთს. ტყვარჩელი-რუსთაველი-გამსახურდიას ქუჩებზე სრულად იცვლება ასფალტო-ბეტონის საფარი, ბორდიურები, მთელ პერიმეტრზე კეთილმოეწყობა ტროტუარები, მოხდება გზის ჰორიზონტალური მონიშვნა და დაიდგმება თანამედროვე ტიპის მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები.

ტყიბულში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია დაიწყო

ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რეგიონებში განსახორცელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 962 806 ლარს შეადგენს.
პროექტის მიმდინარეობით ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, თემურ ჩუბინიძე დაინტერესდა, რომელიც არსებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.
პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია 9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწესრიგება რუსთაველის, ახობაძის და გელათის ქუჩებზე.
სამუშაოებს შპს ,,თ.ბ-კაპიტალი" აწარმოებს.

ახალი მე-4 საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა

ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი ყოფილი მე-4 ბაღის ტერიტორიაზე აშენდა. 50 ბავშვზე გათვლილი ორსართულიანი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობისთვის, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 739 200 ლარი გამოიყო.

საბავშვო ბაღში მოეწყო სათამაშო, სასადილო და საძინებელი ოთახები, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, აღიჭურვა ახალი ინვენტარით. შენობა და მიმდებარე ტერიტორია ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობაც.

ამჟამად სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი თანამედროვე, კომფორტულ გარემოში მიმდინარეობს.

პროფკავშირებისა და „სახალხლო აფთიაქის" ერთობლივი ინიციატივა

ტყიბულის მეშახტეთა პირველადი პროფესიული კავშირისა და „სახალხო აფთიაქის" ინიციატივით, მეშახტეებს ფასდაკლების ბარათები გადაეცათ.

ამიერიდან, ბარათის მფლობელი მეშახტეები „სახალხლო აფთიაქში" 25 პროცენტიან ფასდაკლებას მიიღებენ.

დათო ტურაშვილი ტყიბულში ახალგაზრდებს შეხვდა

ტყიბულში სტუმრად მწერალი დათო ტურაშვილი იმყოფებოდა. ბატონი დათო ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის „მედია წიგნიერების" პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს შეხვდა და სხვადასხვა საინტერესო საკითხზე ესაუბრა.

ორგანიზაციის ინფორმციით, ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი (TDDF) ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდ (PIN)" მხარდაჭერით ახალგაზრდებისთვის ახორციელებს პროექტს „დემოკრატიის გაძლიერება მედია წიგნიერების ამაღლებით."

პროექტის მიზანია ახალგაზრდებში გაიზარდოს მედია წიგნიერების უნარები და კრიტიკული აზროვნება, რათა მათ შეძლონ საკუთარ თემში დემოკრატიული პროცესების განვითარების აქტიური ხელშეწყობა.

15 აპრილს, შეხვედრის თემა იყო პროპაგანდა, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება. შეხვედრა აქტიური კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ამავე დღეს, ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს PIN-ის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული დირექტორი პეტრ დრბოჰლავი, მედიაწიგნიერების პროექტის მენეჯერი ანა ქოჩუა-ჩახაია და სხვა წარმომადგენლებიც ეწვივნენ.

პროექტი მედია წიგნიერების თემაზე დოკუმენტური ფილმების ჩვენებას, დისკუსიების წარმართვას ითვალისწინებს და ეფუძნება ფართოდ გავრცელებულ საგანმანათლებლო პროგრამას „ერთი სამყარო სკოლებში," რომელიც PEOPLE IN NEED-ის მიერ ჩეხეთში 2003 წლიდან ხორციელდება. ასევე, პროექტის ფარგლებში მოხდება მედია წიგნიერების საკითხებში სფეროს ექსპერტებისა და სხვადასხვა მედია ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა. ისინი ახალგაზრდებს დამოუკიდებელი მედიის საქმიანობის, ახალი ამბების მომზადების პროცესის, ჟურნალისტიკის, ინტერნეტ უსაფრთხოებისა და სხვა, მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ გაუზიარებენ ინფორმაციას.

პროექტი დაფინანსებულია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და USAID-ის მიერ.

ტყიბულის „მეშახტეს“ ნორჩი ფეხბურთელების წარმატება!

ტყიბულის „მეშახტეს“ ნორჩმა ფეხბურთელებმა, რომელთა უმრავლესობაც მეშახტეთა ოჯახებიდან არის, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ 2020-21 წლის იმერეთის ღია ჩემპიონატში, სადაც 16 გუნდი მონაწილეობდა.

გუნდები დაყოფილი იყო ორ ქვეჯგუფად. ტყიბულელმა ჭაბუკებმა, რომლებიც განთესილი იყვნენ „ა“ ჯგუფში, ჩატარებული 7 შეხვედრიდან 5 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს, რითაც ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. „ბ“ ჯგუფის გამარჯვებული გახდა ქ.ქუთაისის საფეხბურთო სკოლა „მართვეს“ უძლიერესი გუნდი.

ფინალური მატჩი ტყიბულელ და ქუთაისელ ფეხბურთელებს შორის ნეიტრალურ მოედანზე, ქ.ზესტაფონში გაიმართა, სადაც უმეღავათო ბრძოლაში ქუთაისელებმა იმარჯვეს, ხოლო ტყიბულელმა ჭაბუკებმა მეორე ადგილი დაიკავეს, დაეუფლნენ შესაბამის თასს, ვერცხლის მედლებსა და სიგელებს, რაც უდაოდ დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. გუნდი იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა დავით რუხაძემ დააჯილდოვა.

ტყიბულელთა გუნდის ღირსებას იცავდნენ: ლუკა ნამჩევაძე, დათო ჭიჭინაძე, გიორგი არაბიძე, საბა კურტანიძე, სანდრო ბრეგაძე, ლუკა ქათამაძე, გოგა გაბრიაძე, გიორგი ბუბაშვილი, ლუკა ფურცხვანიძე, ნიკოლოზ ამყოლაძე, თორნიკე ცირეკიძე, ნიკა ჭანტურიძე, ანდრია აბესაძე, გოგა ქათამაძე, ლუკა ქაშიბაძე, გიორგი სოფრომაძე, ნიკა ლომთაძე და დათო დავითაია.

გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადა ახალგაზრდა მწვრთნელმა, გიგა მაღლაფერიძემ და გია ქარქაშაძემ, რომელსაც წლების მანძილზე მრავალი ტყიბულელი ფეხბურთელი გაუზრდია, როგორც „მეშახტესთვის,“ ასევე უფრო მაღალი რანგის გუნდებისთვის.

„საქნახშირი“ ულოცავს ახალგაზდა ფეხბურთელებს და მათ მწვრთნელებს ამ წარმატებას და კიდევ უფრო დიდ წინსვლას უსურვებს!

“საქნახშირის” ორგანიზებით ტყიბულის სპორტის სასახლეში მაგიდის ჩოგბურთის შეჯიბრი გაიმართა

თამაში წრიული სისტემით მიმდინარეობდა და მასში 12 მეშახტე მონაწილეობდა.
შეჯიბრის ბოლოს გამარჯვებულები გამოვლინდნენ რომლებსაც სიგელები და პრიზები გადაეცათ.
პირველი ადგილის მფლობელი პაატა ჩაფიჩაძე გახდა. მას გადაეცა ფულადი პრიზი (500 ლარი).
მეორე ადგილზე იური ჯანელიძე გავიდა (გადაეცა 300 ლარი).
მესამე ადგილის მფლობელი კი ერეკლე მესხი გახდა (გადაეცა 200 ლარი).
მეოთხე ადგილზე გაგა ისაკაძე, ხოლო მეხუთე ადგილზე კი რუსლან კაკუშაძე გავიდნენ. კომპანიამ მცირე საჩუქრები მათაც გადასცა.
ტურნირს ესწრებოდნენ “საქნახშირის” დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე მიხაილ სოცკი, “საქნახშირის” გენერალური დირექტორი ზურაბ აღდგომელაშვილი და მთავარი ინჟინერი, ალექსანდრ ლოვინი.
გამარჯვებულებს სიგელები და ფულადი პრიზები კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, ზურაბ აღდგომელაშვილმა გადასცა.

ტყიბულელმა მოკრივეებმა საქართველოს ჩემპიონატი ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაასრულეს!

საქართველოს პირველობა მოსწავლე მოკრივეთა შორის ფოთში 14 - 18 აპრილს მიმდინარეობდა. შეჯიბრში მონაწილეობდა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მოკრივეთა გუნდიც. შედეგები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

პირველი ადგილი და საქართველოს ჩემპიონი 80 კგ. წონით კატეგორიაში - ზურაბ ობოლაძე. მწვთნელი: გია დვალი.

მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი 57 კგ. წონით კატეგორიაში - ნიკა ბარბაქაძე
მწვთნელი: ვარლამ კობახიძე.

ზურაბ ობოლაძე საქართველოს ნაკრებში აიყვანეს. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები მონაწილეობას მიიღებს 2021 წლის ევროპის ჩემპიონატზეც, რომელიც აგვისტოში გაიმართება.

„საქნახშირი“ ულოცავს გამარჯვებულებსა და მათ მწვთნელებს ამ დიდ წარმატებას.

წიგნის მოყვარულთა კლუბი

გაიცანით ჩვენი ახალი წევრები!

საყვარელი წიგნი: დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“

წიგნი მოგვითხრობს მეტად საინტერესო, ნამდვილი ისტორიას და მომიწოდებს იმისკენ, რომ ვიყო მებრძოლი და ძლიერი ახალგაზრდა. ამ წიგნში ჩემი მისაბაძი პერსონაჟია გეგა, რომელიც საკუთარი და არა მხოლოდ საკუთარი თავისუფლებისთვის, მზდაა ყველას და ყველაფერს დაუპირისპირდეს. ამის მაგალითია მისი ამბოხება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ძალიან საინტერესოა წიგნია ემი იტერანტას „წყლის საიდუმლოც.“ ჩემთვის მნიშვნელოვანია გავეცნო ბევრ წიგნს და დიდი პატივია „საქნახშირში“ „წიგნის მოყვარულთა კლუბის“ წევრობა. მოტივირებული ვარ, რომ ავიმაღლო ცოდნა ***საქნახშირის*** *„წიგნის მოყვარულთა კლუბში.“*

საყვარელი წიგნი: „ბრძნული აზრების საგანძური“

ადამიანის ცხოვრებში ბრძნული აზრები დიდ როლს თამაშობს. ბრძნული აზრი გეხმარება ნებისმიერ საქმიანობაში, სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში და მაქსიმალურად უწყობს ხელს ჩვენს პიროვნულ ჩამოყალიბებას. მომწონს სოკრატე და მისი გამონათქვამები, იმიტომ, რომ ადამიანის სულიერ დამოკიდებულებებს ძალიან კარგად აღწერს.

ჩემს თანატოლებს ვუჩევ წაიკითხონ „ვარდისფერი ქალბატონი,“ „ბრძნული აზრების საგანძური,“ „საოცრება,“ „თეთრი ბაირაღები,“ „მე ვხედავ მზეს.“

საყვარელი წიგნი: ლიპინკოტი რეიჩელის „ორი ნაბიჯი შენამდე“

წიგნში ძალიან კარგადაა გადმოცემული დამოკიდებულებები და ურთიერთობები ადამიანებს შორის. ის თავიდან ბოლომდე სიკეთეს მოგვითხრობს და სენსაციური დასასრულიც მხოლოდ სიკეთეს უკავშირდება. სწორედ სიკეთის უამრავი მაგალითი ხდის წიგნს საინტერესოს. განსაკუთრებით მომწონს სტელა. ვფიქრობ, თავისი ხასიათითა და ბუნებით განსაკუთრებულად მგავს. გარდა ამისა, ვთვლი, რომ ძალიან გულწრფელი და ნიჭიერია, ამასთანავე კეთილი.

გარდა ამისა, ყველას ვურჩევ წაიკითხონ ქართული ლიტერატურა, რადგან ჩვენ ყველაზე ნიჭიერი მწერლები გვყავს და გვყავდა. განსაკუთრებულად მომწონს ნოდარ დუმბაძე და მისი ნაწარმოებები.

“წიგნის მოყვარულთა კლუბში“ წიგნის მოყვარულების ადგილია, რატომაც არა, ეს ნამდვილად არაა ხელიდან გასაშვები შანსი!

საყვარელი წიგნი: შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“

ნაწარმოების მთავარი გმირის სახით კარგადაა წარმოდგენილი უსამართლობის და ძალადობის წინააღმდეგ პროტესტი. გარდა ამისა, მწერალმა რომანში ბევრი ავტობიოგრაფიული ელემენტიც ჩააქსოვა.

განსაკუთრებით მომწონს თავად ჯეინ ეარი. ის იყო ობოლი, თუმცა იყო ქალი მგზნებარე იდეებით და გამჭრიახი გონებით, თავისუფალი ადამიანი, დამოუკიდებელი ნებისყოფით, რასაც ამაყად უსვამს ხაზს როჩესტერთან. ჯეინ ეარი განსხვავდებოდა ვიქტორიანული ეპოქისათვის დამახასიათებელი დამყოლი და მორჩილი ქალისგან.

ყველას ვურჩევ წაიკითხონ შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი,“ ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი, “ასევე ფიოდორ დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი.“

ფოტომატიანე

“ძიძიგურის” (ყოფილი “ლენინის”) სახელობის შახტის მეშახტეები: მარცხნიდან პირველი, ნოდარი ბახუტაშვილი, ამირან ქოქოსაძე, ჟორა ჩუბინიძე, ზაურ ტოტოჩია.
ფოტო წიგნიდან „საბჭოთა საქართველო“ 1977 წელი.
ნოდარი ბახუტაშვილის შვილი ამჟამად ტყიბულის სამთო მაშველის სამსახურში მუშაობს.
ამირან ქოქოსაძის შვილი, იულონ ქოქოსაძე „მინდელის“ სახელობის შახტზეა დასაქმებული.

სტალინის სახელობის შახტა

ტყიბულის საავადმყოფო

სტალინის სახელობის შახტის მეშახტეები

სტალინის სახელობისშახტის ხელმძღვანელობა 1962 წ

მაღაროელები, 1927წ აგვისტო

მეშახტე ქალები 1984 წ

ინჟინერ ყიფიანის სარეცხები

ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა

სოფელი ტყიბული

სტალინის სახელობის შახტის მოძრაობის უბანი

ხანძარსაწინააღმდეგო სამსაური 1965 წ

ტყიბულის მაღარო 1908 წელი

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფოტოები

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე
აპრილი|2021|№8

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, თამარ გაფრინდაშვილი, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის” კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri